

„ნენსკრაჰესი“ - ფისკალური საფრთხე საქართველოსთვის - „მწვანე ალტერნატივა“

„ლიბერალი“

ახალი ამბები / საზოგადოება

06 ივნისი, 2018 13:46



ფოტო: „ლიბერალი“

„ნენსკრაჰესი - ფისკალური საფრთხე საქართველოსთვის“, - ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ნენსკრაჰესთან დაკავშირებული ელექტროენერჯის ფასის ზრდის რისკებთან დაკავშირებით მიმოხილვას ავრცელებს.

მათი თქმით, საქართველოს საპარტნიორო ფონდსა და სს „ნენსკრაჰიდროს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების გამოქვეყნებით (რომელიც 2017 წლის ნოემბრამდე სრულად კონფიდენციალური იყო), შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ **საქართველომ აიღო 36 წლის განმავლობაში ნენსკრაჰესის მიერ მთლიანად გამომუშავებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ვალდებულება. ამასთან, ერთი კილოვატსაათი (კვტ.სთ.) ელექტროენერჯის ფასი განისაზღვრა 0.07975 აშშ ცენტად 2019 წლის ფასებით, 3%-იანი ინფლაციის განაკვეთის პირობებში.**

ნენსკრას პროექტის დასრულება დაგეგმილია 2024 წლისთვის. ამდენად, ბემოთ აწერილი პირობებიდან გამომდინარე, ჰესის აშენებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შემთხვევაში, 2024 წლიდან საქართველოს მოუწევს სს „ნენსკრაჰიდროსთვის“ 1 კვტ.სთ. ელექტროენერჯიაში 0.079*(1+0.03)⁵=0.09 აშშ დოლარის გადახდა. ყოველ მომდევნო წელს კი, შესასყიდი ფასი გაიზრდება ინფლაციის 3%-იანი განაკვეთის შესაბამისად. საპროექტო გამომუშავების გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს

წლიურად 1.2 მილიარდ კვტ.სთ.-ს, 2024 წელს საქართველოს მოუწევს 108 მილიონი აშშ დოლარის გადახდა და ეს თანხა ყოველ მომდევნო წელს შესაძლებელია გაიზარდოს.

სავალუტო ფონდის მიერ გაცხადებული ინფორმაციის გარდა, საზოგადოებისთვის დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულებით აღებული სხვა ვალდებულებების თაობაზე. მაგალითად, არ არის ნათელი, რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება ევროკავშირის კონკურენციისა და სახელმწიფო სუბსიდირების მოთხოვნებს; ხომ არ მოიცავს ხელშეკრულება, ე.წ. სტაბილურობის მოთხოვნებს შრომითი უფლებების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სფეროში; ხომ არ ითვალისწინებს ხელშეკრულება სხვა ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს, რომელიც ტვირთად დაანვება სახელმწიფო ბიუჯეტს და უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე", - ნათქვამია მიმოხილვაში.